ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

## ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და მლეხთა მთავრობისა.

| 1923 წლის დეკემბრის 15. | № 12. მანყოფილება პირველი | გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ. |
|---|---|---|

### შინაარსი:

მუხ. 219. სპირტის აქციზის შესახებ.
„ 220. შეთავსების შესახებ.
„ 221. აქციზის განაკვეთის შესახებ ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.
„ 222. გასატანი ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ.
„ 223. სოფლის მეურნეობისათვის შეწყვრილი გაუქმებული გადასახადის და გამოსადების ნარჩენის მოხსნის შესახებ.
„ 224. საღერბო გადასახადის წესდების მე-15 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ.
„ 225. ადგილობრივი გადასახადის შესახებ დროგადასული ვალობისათვის საქალაქო დასახლებული ადგილების ფარგლებში.
„ 226. ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის დღესასწაულის შესახებ.
„ 227. მორიგი და დამატებითი შვებულების წესების შესახებ.
„ 228. დასავლეთ საქართველოს რაიონებად განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით.
„ 229. საღერბო წესდების საალფავიტო წესსის მე-6 და სხვ. №-ში საჩერვონეცო მინიმუმის დაწესების შესახებ.
„ 230. ფინშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ერთმილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ტრიალის შესახებ.
„ 231. საშემოსავლო გადასახადის აკრეფის წესისათვის გამოცემული ინსტრუქციის შეცვლის შესახებ.
„ 232 ბავშვის მოსავლელად დახმარების მიცემის შესახებ.
„ 233. სხვადასხვა სხდომისათვის ეწყობათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების გამოწვევის წესის შესახებ.
„ 234. რკინისგზის სერტიფიკატების გამოშვების შესახებ.
„ 235. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის რეალიზაციაში.
„ 236. სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის იძულებითი გავრცელების შესახებ მოსახლეობის ელმწიფო შემლებულ წრეებში.
„ 237. სამოვართა შემოსავლის ანარიცხის გადადების შესახებ ადგილობრივი ორგანოების საკეროებისთვის

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ 238. სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის იძულებითი გავრცელების შესახებ სამეშაოს ნარდაღ ამოღ კერძო პირთა, კერძო გამყიდველ-მიმწოდებელთა და კომისიონერთა შორის.

„ 239. ჩერვონეცის ერთიანი კურსის შესახებ.

„ 240. ჩერვონეცის ერთიანი ოფიციალური კურსის გადაცემის წესის შესახებ მთლად ამიერკავკასიაში.

„ 241. საჯარო ანგარიშგებისა და საავალდებულო განცხადების წესის შეცვლის შესახებ.

„ 242. წესები საჯარო ანგარიშგების წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო და შერეული საავჭრო-სამრეწველო საწარმოთათვის, რომელთაც თავიანთი ცენტრები (გამგეობანი) აქვთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

„ 243. უჯრიფო საღერბო მარკების გაუქმების ვადის შესახებ.

„ 244. შემდგომი რეგისტრაციის წესით სამეშაოდ შესვლის უფლების მინიჭების შესახებ იმ პირთათვის, რომელნიც შრომის ბირჟის აღნუსხვაზე ითვლებიან და ექცესი თვის განმავლობაში განეუწყვეტლივ დახმარებას იღებენ.

„ 245. წითელი არმიისა და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

„ 246. უმუშევართა არტელების სარეწავი გადასახადისაგნა განთავისუფლების შესახებ.

„ 247. ადგილობრივი ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ამ გამოსაღებში ^ არა-მართლეიოდ შესული თანხების დაბრუნების შესახებ.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ოქტომბრის 13.

## 219. სპირტის აქციზის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 7 №-ით გამოცემული დადგენილების 51 მუხლის საფუძველზე, ყურძნის მასალისა და ნეღლი ხილეულობისაგან სპირტის წარმოების თაობაზე 1923 წლის მაისის 26-ს გამოცემული წესების შესაცვლელად და დასამატებლად,—ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენს:

1. ნორმეულ ქარხანაში ყურძნის მასალიდან და ნეღლი ხილეულობიდან გამოხდილ სპირტის აქციზს გადაიხდის: ა) ბაღის მეპატრონე, რომელსაც აქვს ვენახისა ან ხეხილის ბაღი და პირადად შეიმუშავებს მათ იმავე სოფელში, სადაც სწარმოებს სპირტის გამოხდა,—სპირტის გაცემის დროს ქარხნიდან და ბ) ბაღების მოიჯარადრე, რომელიც გამოიყენებს სხვისი ბაღის მოსავალს,—წინდაწინ სპირტის გამოხდის მოწმობის მიღების დროს.

2. ამა დადგენილების 1 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ქარხნებში აღნუსხული სპირტი დაიბეჭდება არაპირდაპირი გადასახადის აგენტის მიერ იმ დრომდე, ვიდრე აქციზი გადახდილ იქნება; ამასთანავე აქციზი იმ სპირტისათვის, რაც აღნუსხვის დროს აღმოჩნდება არა სრულ-ნახადი ნორმასთან შედარებით,—შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში დაუყოვნებლივ.

3. აქციზი იმ სპირტისა, რომელიც გამოშვებული არ იქნება ბაღის მეპატრონის ქარხნიდან (ამა დადგენილების 1 მუხლის „ა“ პუნქტი),—გადახდილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნეს ოთხი თვის განმავლობაში დღიდან სპირტის გამოხდის დასრულებისა თვითეული მოწმობის მიხეღვით.

4. სპირტის გამოხდის მოწმობის მისაღებად ბაღის მეპატრონე (მუხლი 1, პუნქტი „ა"), გარდა ოქმისა გამოსახდელი ქვაბის გაზომვის შესახებ, წარუდგენს არაპირდაპირი გადასახადის აგენტს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მოწმობასაც ვენახისა ან ხეხილის ბაღის მფლობელობის შესახებ; ამ მოწმობაში აღნიშნული უნდა იქნეს ნაშენი ბაღის სივრცე და ადგილ-მდებარეობა.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მაგიერ **ერქომაიშვილი.**
საგადასახადო სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ხახანაშვილი.**
არაპირდაპირ გადასახადთა
განყოფილების მმართველი **გურგენოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბრის 19 თარიღის 241 №-ში.

---

# დადგენილება № 69 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ოქტომბრის 10.

**220. თანამდებობათა და მოსაქმეობათა შესახებ, რომელთა აღსრულება არ წარმოადგენს შეთავსებას ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოებში სამსახურის თაობაზე 94 №-ით გამოცემული დადგენილების 5 და 6 მუხლისამებრ.**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში სამსახურის შესახებ 1923 წლის სექტემბრის 27-ის თარიღითა და 94 №-ით გამოცემული დადგენილების აღსასრულებლად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებში და მეურნეობაში შეთავსებად არ ჩაითვლება:

1. მუშაობა პედაგოგიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სპეციალურ სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოებში და ცალკე დავალებით, კულტურულ-განმანათლებელი, სალექციო, ლიტერატურული (თანამშრომლობა, რედაქტორობა და სხვ.), არტისტული და სამედიცინო პრაქტიკა.

2. მონაწილეობა საუწყებო და საუწყებათაშორისო, როგორც მუდმივი, ისე დროებითი კომისიების მუშაობაში და სხდომებში, იმ პირობით, უკეთუ მომუშავე სპეციალურად წარგზავნილია აღნიშნულ კომისიებში უწყების პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მიერ.

ტ ფ ი ლ ი

3. თანამშრომლობა თავისი დაწესებულების კოოპერატივში.

4. ყოველი დარგი დანარჩენ სამუშაოთა: ა) ნარდათ მუშაობის წესით; ბ) ზედმეტი მუშაობა ძირითადი თანამდებობის სამუშაო დღის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში სამსახურის შესახებ 94 №-ით გამოცემული დადგენილების 5 და 6 მუხლში.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ხ. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარიატის საერთო-საორგანიზაციო
განყოფილების გამგე **ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარაი ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბრის 20-ს თარიღის 242 №-ში.

---

# დადგენილება № 97 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წლის ოქტომბრის 17.

**221. აქციზის განაკვეთის შესახებ ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14-ის თარიღით გამოცემული დადგენილების II განყოფილების საფუძველზე—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი სააქციზო განაკვეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით:

1) ყურძნისა, ხილეულობისა და „იზიუმის" ღვინო:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყურძნის ღვინო არა უმეტეს 14 გრადუსისა სიმაგრით—2.400.000 მან. ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—11.400.000 მან. ვედროზე; ბ) ხილეულობის ღვინო—11.400.000 მან. ვედროზე; გ) ყურძნის ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა, აგრეთვე დესერტისა და „იზიუმის" ღვინო—13.440.000 ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—24.000.000 მან.; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—71.100.000 მან. ვედროზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე—22.560.000 მან.; ბ) 14 გრადუსზე ზევით, ხოლო არა უმეტეს 20 გრადუსისა—56.400.000 მან.; გ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად) 180 480.000 მან. ვედროზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



2) ღვინის ძმარი დაიბეგვრება 2.400.000 მან. რაოდენობით ვედროზე.

3) სპირტი: ა) გამოხდილი პურეულიდან, დაჩირული ხილეულობიდან და ყურძნეულიდან (ქიშმიში და „იზიუმი“)—1.200.000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპირტი—300.000 მან. გრადუსზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—1.350.000 მან.; გ) გამოხდილი ნედლი ხილეულობიდან და ყოველგარი ყურძნეულიდან—120.000 მან. გრადუსზე; დ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციზი 30.000.000 მან. რაოდენობით ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—60.000.000 მან.

**შენიშვნა.** ტექნიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის გაცემული უმი და რეკტიფიკატი სპირტი დაიბეგვრება აქციზით საერთო საფუძველზე.

4) არყის ნაკეთობას ძირითადი აქციზის ზევით დაედება დამატებითი აქციზი 48.000.000 მან. რაოდენობით ერთ ვედრო ნაკეთობაზე.

5) ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალი: ა) ლუდი არა უმეტეს 6 გრადუსისა სიმაგრით—6.000.000 მან.; ბ) თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური წყალი—1.200.000 მან. ვედროზე.

6) წუმწუმის ასანთი: კოლოფი, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 75 წკირისა—30.000 მ.; ბ) 75 წკირზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 150 წკირისა—60.000 მან. გ) 150 წკირზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა—90.000 მან. და სხვ.

7) ნავთის პროდუქტები: ა) ნავთის სანათი ზეთი (კეროსინი და სხვ. ნავთის გამეჭვირვალე ნახადი პროდუქტი, სანათ. და საცხებელი ზეთი), ბენზინის გარდა,—3.600.000 მან. ფუთზე; ბ) ბენზინი—7.200.000 მან.

8) ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი გირვანქაზე: ა) შავი ჩაი (ბაიხოვი)—5.400.000 მან.; ბ) ჩაი ფილებად (პლიტონინი)—3.300.000 მან.; გ) აფურის ჩაი (კარპიჩნი)—1.500.000 მან ; დ) ადგილობრივი აღმოცენების ჩაი —1.200.000 მან., ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის —5.400.000 მან. ე) ყავა ნატურალური, უმი ან დახალული და დაფქული —3.600.000 მან.; ვ) ყავისა და ჩაის სუროგატი და ციკორი—300.000 მან.

9) საფუარი: ა) დაწნეხილი და აგრეთვე ხმელი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადების საშუალებით, როდესაც დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი თანაგვარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საკმარისია საფუარის ცომის სრული გამაგრებისათვის—1.200.000 მამ. გირვანქაზე; ბ) ხმელი საფუარი, დაწნეხილი საფუარის გაშრობით განსაკუთრებულად დამზადებული—3.600 ათას. მან.

10) სახარინი და სხვა მისი თანაგვარი ხელოვნურად დატკბილებული ნივთიერება—60.000.000 მან. გირვანქაზე.

11) თაფლისა, ქანცველისა, სტეარინისა და სხვ. სანთელი—3.600.000 მან. გირვანქაზე.

12) საპმლის მარილი—600.000 მან. ფუთზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—2.400.000 მან.

13) თამბაქოს ნაკეთობა:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი ფოთოლ-თამბაქო (არა წეკო), რომელიც თამბაქოს ფაბრიკის საწყობიდან გადაეცემა თვით ფაბრიკას გადასამუშავებლად—6.000.000 მან. გირვანქაზე; ბ) წეკოს პაპიროსი—3.600.000 მან. 1000 ცალზე; გ) სიგარა—72.000.000 მან. 1000 ცალზე. დ) სიგარეტი—27.000.000 მან. 1000 ცალზე; ე) მოსაწევი წეკო—600.000 მან. გირვანქაზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი ყოველნაირი ხარისხისა—18.000.000 მან. გირვანქაზე; ბ) პაპიროსი ყოველნაირი ხარისხისა—36.000.000 მან. 1000 ცალზე; გ) სიგარა—240.000.000 მან. 1000 ცალზე; დ) სიგარეტი—90.000.000 მან. 1000 ცალზე.

14) პაპიროსის გილზი—1.200.000 მან. 1000 ცალზე.

**შენიშვნა.** გილზი, რომელიც მოხმარდება პაპიროსის დამზადებას თამბაქოს ფაბრიკაში,—აქციზით არ დაიბეგვრება.

15) პაპიროსი, რომელიც საპაპიროსე სახელოსნოში დამზადდება აქციზ—გადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზ გადახდილი ბანდეროლიანი გილზისაგან,—დაიბეგვრება დამატებითი აქციზით 1.200.000 მან. რაოდენობით 1000 ცალზე.

16) ჭარხლისა და სახამებლის შაქარი: ა. ჭარხლის შაქარი კრისტალური: ა) ფხვნილი—18.000.000 მან. ფუთზე; ბ) რაფინადი—22.500.000 მან. ფუთზე. ბ. სახამებლის შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა და რაფინად ქმნილი)—7.200.000 მან. ფუთზე.

17) შრის კალოშები: ა) შინა-წარმოების კალოში—1.200.000 მან. წყვილზე; ბ) უცხოეთიდან შემოტანილი კალოში—2.400.000 წყვილზე.

**შენიშვნა.** ბავშვის კალოშს დაედება ნახევარი აქციზი.

II. ა) ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთი შეეფარდება იმ საგნებს, რაც გამოშვებული იქნება მათი წარმოებისა ან შენახვის ადგილიდან, რომელსაც აქვს უფლება აქციზის მასზე გადარიცხვისა დადგენილი წესით;

ბ) საგნები, რომლისთვისაც აქციზი უკვე გადახდილია მტკიცე განაკვეთით, —თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 14-ის დადგენილებისა,—განთავისუფლდება დამატებითი დაბეგვრისაგან;

გ) აქციზის შესატანი ვადის გადადების შეღავათით გამოშვებული საგნებისათვის და აგრეთვე ვადა-გადაცილებული საგნებისათვის აქციზი გადახდილ უნდა იქნეს შეტანის დღის განაკვეთისამებრ.

III. ა) ამა დადგენილებით თამბაქოს ნაკეთობისათვის შემოღებული სააქციზეო განაკვეთი დაწესებულია, ვიდრე სამოქმედოდ შემოღებულ იქნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 27-ს დეკრეტი.

ბ) საფეიქრო ნაკეთობას აქციზი დაედება თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა საბჭოს მიერ 1923 წლის სექტემბრის 27-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა;

გ) პაპიროსის ქაღალდს აქციზი დაედება თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა.

IV. განაკვეთი ესტ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1923 წლის ოქტომბრის 25-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიკრკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭ. მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 23-ს თარიღის 244 №-ში.

---

# დადგენილება № 98 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ოქტომბრის 17.

## 222. გასატანი ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ.

1923 წლის აპრილის 7-ს თარიღით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საქონლის შემოტანისა და გატანის წესის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის შენიშვნის გასაუქმებლად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს სალიცენზიო გამოსსღები:

ა) არაკავკასიური ხალიჩებისათვის, რაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტრანზიტით გატარებულ იქნება უცხოეთში—ცხრა საჩერვონეცო მანეთი და ოთხმოცდაათი კაპ. (9 მან. 90 კაპ.) ფუთზე.

ბ) არაამიერკავკასიური ხალიჩებისათვის, რაც ამიერკავკასიის ფარგლებიდან გაიტანება უცხოეთში,—ხუთმეტი საჩერვონეცო მანათი ფუთზე (15 ჩერ. მ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ამიერკავკასიის წარმოების ხალჩიებისათვის, რაც გატანილ იქნება უცხოეთში,—ერთი საჩერვონეცო მან. (1 ჩერ. მან.) ფუთზე.

დ) ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე განმარტებანი ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა სააბოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღის 252 №-ში.

---

# დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ოქტომბრის 17.

## 223. სოფლის მეურნეობისათვის შეწერილ გაუქმებულ გადასახადთა და გამოსაღებთა ნარჩენის მოხსნის შესახებ.

ამიერკავკასიის ს.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოხსნილ იქნეს ანგარიშიდან შემდეგ გაუქმებულ გადასახადთა ყველა ნარჩენი, რაც ითვლება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობაზე: პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადისა, საერთო-სამოქალაქო გადასახადისა, საკომლო ქონებრივი გადასახადისა, შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადისა და სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადისა.

2. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ამა დეკრეტის განსაკითარებლად გამოსცეს ადგილობრივი ორგანოებისათვის სათანადო განმარტებანი და ინსტრუქციები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღის 252 №-ში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

1923 წლის ოქტომბრის 17.

**224. სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების 15 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1923 წლის ივნისის 1-ს დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ., № 8, მუხ. 122) მე-2 პუნქტის შესაცვლელად—სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების 15 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგნაირად:

**შენიშვნა.** რაოდენობა გადასახდევინებელი თანხისა განისაზღვრება ჩერვონცებად სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების წესის დარღვევის დღის კურსისამებრ—ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე უკანვე გადატანით საჯარიმო თანხის შეტანის დღის კურსისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 2 თარიღის 253 №-ში.

---

# დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

1923 წლის ოქტომბრის 17.

**225. ადგილობრივი გადასახადის შესახებ დროგადასული ვაჭრობისათვის საქალაქო დასახლებული ადგილების ფარგლებში.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის შესახებ 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის (კანონთა და განკარგულებათა კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბული ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ., № 6, მუხ. 66) დასამატებლად ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად უფლება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ქალ. ტფილისში, ბაქოში, ერივანში, ბათომში და სოხუმში შემოიღონ გადასახადი დროგადასული ვაჭრობისათვის.

2. გადასახადი დროგადასული ვაჭრობისათვის დაიდება იმ სავაჭრო საწარმოს, რომელიც ივაჭრებს დაწესებულ ნორმალურ დროზე მეტ ხანს.

**შენიშვნა.** ნორმალურ დროდ, რომლის განმავლობაშიაც ვაჭრობა-საწარმოებს, ჩაითვლება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ვაჭრობის თვითეული სახისათვის დაწესებული დრო.

3. გადასახადი დაწესდება ისეთი როოდენობით, რომ ნახევარ წელიწადში იგი არ აღემატებოდეს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირველი კატეგორიის | სავაჭრო | საწარმოსათვის | . . . | 36 | ჩერ. მან. |
| მეორე | „ | „ | . . . | 72 | „ „ |
| მესამე | „ | „ | . . . | 120 | „ „ |
| მეოთხე | „ | „ | . . . | 180 | „ „ |
| მეხუთე | „ | „ | . . . | 240 | „ „ |

4. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა, ამა დეკრეტის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, დააწესოს გადასახადის გაკეთი იმის მიხედვით, თუ რა დრომდე აქვს საწარმოს ნებადართული ვაჭრობა, რა სახისაა ეს საწარმო და აგრეთვე ქალაქის იმ რაიონისა და ზოლის მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნება ქალაქის მოსახლეობა ძირითადი სარეწავი გადასახადის გასტუმრებისათვის.

**შენიშვნა.** ნებართვა დროგადასული ვაჭრობის წარმოებისათვის უნდა გასცეს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

5. იმ პირს ან დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს დროგადასულ ვაჭრობას და გადასახადს კი ვადაზე არ გაისტუმრებს,—დაედება ფულადი გადასახადელი, ადმინისტრატიული წესით, გადასახადის განაკვეთის სამჯერ გადიდებული რაოდენობისა.

6. ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს წესები და ინსტრუქციები ამა დეკრეტის შეფარდებისათვის.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 3-ს თარიღის 254 №-ში.

# დადგენილება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ნოებრის 3.

## 226. ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის დღესასწაულის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის დღესასწაული მოხდეს ხოლმე ნოემბრის 7.

2. დღესასწაულის წინა დღეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა უმეტეს 6 საათისა, ხოლო გასამრჯელო ამ დღისათვის მიცემულ იქნეს, როგორც მთელი სამუშაო დღისათვის.

3. დღიურად და ნაჭრობით მომუშავეთ დღესასწაულის დღისათვის—ნოემბრის 7-ს—სასყიდელი მიეცემათ მათი საშუალო ხელფასის მიხედვით.

ამიერკავკასიის შრომის

სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების

გამგის მოადგილე **ფირალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 4 თარიღს 255 №-ში.

---

# დადგენილება № 70 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ოქტომბრის 15.

## 227. წესები მორიგი და დამატებითი შვებულების შესახებ.

თანახმად ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღით და 70 №-რით გამოცემული დადგენილებისა, რომლითაც სამომქმედოდ შემოღებულია შრომის კანონთა კოდექსი 1922 წ. ნოებრის 9-სა (შესავალი ნაწილის მე-3 მუხ.) ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შრომის კოდექსის 91 და 114—129 მუხ. განსავითარებლად შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები მორიგი და დამატებითი შვებულების შესახებ.

### წესების მორიგი და დამატებითი შვებულების შესახებ.

#### I დაწესება შვებულების უფლებისა.

მუხ. 1. შრომის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეს, რომელიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში დაქირავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით იმუშავებს არა ნაკლებ $5^1/_2$ თვისა განუწყვეტლივ,—კოდექსის 114 მუხლის თანახმად უფლება აქვს მიიღოს მორიგი შვებულება ერთხელ საკალენდარო წელიწადში (ამა დადგენილების 4 და 8 მუხლი), ხოლო კოდექსის 115 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში—დამატებითი შვებულებაც (მუხ. 5.).

**შენიშვნა.** მუშა-მოსამსახურეს, რომელიც შერეული საწარმოს ან დაწესებულების მავნებელ წარმოებაში $5^1/_2$ თვეზე ნაკლები უმუშავია და საბოლოოდ გადაყვანილია მუშაობაზე ნორმალური პირობებში და აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც მავნებელ წარმოებაში უმუშავია ისე, რომ ნორმალური პირობების სამუშაოზე დროებითი გადაყვანის გამო მუშაობა რამდენჯერმე შეუწყვეტია,—დამატებითი შვებულება მავნებლობისათვის მიეცემა იმ დროის $^1/_{24}$ რაოდენობით, რაც მას მავნებელ წარმოებაში უმუშავია.

მუხ. 2. მუშაობის განუწყვეტელობა შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლის აზრით არ დაირღვევა $5^1/_2$ თვის პერიოდის განმავლობაში იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოხდება ადგილის შეცვლა ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა შრომის კანონთა კოდექსის 37 მუხლის წესისამებრ. ამგვარადვე, განუწყვეტელობა არ დაირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელი ფაქტიურად არ ასრულებდა სამუშაოს საწარმოში ან დაწესებულებაში, ხოლო კანონიერად შეენახა თავისი ადგილი (შვებულება ავადმყოფობის გამო, დაპატიმრება, სამოქალაქო მოვალეობათა აღსრულება და სხვ.)

მუხ. 3. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული განუწყვეტელი მუშაობის $5^1/_2$ თვის ვადის დენა დაიწყება: ა) ფაქტიურად სამსახურში შესვლის მომენტიდან—ყველა შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურე პირველად მიიღება სამუშაოზე; ბ) სამუშაოზე დაბრუნების მომენტიდან მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მორიგი შვებულების გამოყენებით; გ) ახალი საკალენდარო წლის დამდეგიდან—იმისთვის, ვისაც წინა საკალენდარო წელიწადში არ უსარგებლია თავისი უფლება შვებულებაში წასვლისა და ამასთანავე იმისდა მიუხედავად,—მიეკა მას კომპენსაცია მორიგი შვებულების უფლების გამოუყენებლობისათვის თუ არა (მუხ. 10).

## II შვებულების ხანგრძლივობა

მუხ. 4. ყოველწლიური მორიგი შვებულების ხანგრძლივობა, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ და კერძო საწარმოსა და დაწესებულების ყველა მუშებისთვის (მოსამსახურისათვის),—დაწესდეს შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლის თანახმად, ვადით—არა ნაკლებ ორი კვირისა.

მუხ. 5. განსაკუთრებულ მავნებელ და სახიფათო საწარმოში მომუშავე პირს და აგრეთვე იმ პირს, ვისაც 18 წელი არ შესრულებია, გარდა შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლით გათვალისწინებული შვებულებისა (ამა დადგენილების მე-4 მუხლი), მიეცემა დამატებითი შვებულება არა ნაკლებ ორი კვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა. სიას იმ წარმოებათა და პროფესიათა, რომელიც იძლევა დამატებითი შვებულების უფლებას,—შეიმუშავებს შრომის სახალხო კომისარიატი.

**შენიშვნა 1.** დამატებითი შვებულების ხანგრძლივობა იმ პირთათვის, ვინც მუშაობს მაენგელ წარმოებაში, ისე რომ დრო და დრო მუშაობას შესწყვეტს ხოლმე,—განისაზღვრება თანახმად 1-ლი მუხ. შენიშვნისა.

**შენიშვნა 2.** მოზარდი, რომელსაც ამა თუ იმ საკალენდრო წელიწადში 18 წელი შეუსრულდება,—ისარგებლებს ერთი თვის შვებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ შვებულების უფლება წარმოიშვა 18 წლის შესრულებამდე.

მუხ. 6. უკეთუ მორიგი შვებულება არ იქნება გამოყენებული ამა თუ იმ საკალენდრო წელიწადში სრულად ან ნაწილობრივ და ამისათვის მუშა-მოსამსახურეს კომპენსაცია არ მიუღია (მუხ. 10),—შემდეგ წელიწადს, შრომის კანონთა კოდექსის 120 მუხლის საფუძველზე და მის ფარგლებში,—შვებულება შეიძლება განგრძობილ ექნეს წინა წელიწადს გამოუყენებელ ვადამდე. შვებულებათა შეერთება შეიძლება აგრეთვე იქ შემთხვევაში, უკეთუ მოხდება ადგილის შეცვლა თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 37 მუხლისა.

## III დრო შვებულების სარგებლობისა.

მუხ. 7. ცალკე მუშებსა და მოსამსახურეთ კოდექსის 114 მუხ. თანახმად შვებულება მიეცემა მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში და არა მარტო ზაფხულის პერიოდში, მორიგეობის წესით, რასაც დაადგენს მუშათა საკონტროლო კომისია; ხოლო უკეთუ ეს დაწესებულება არ არსებობს, ადმინისტრაცია პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

**შენიშვნა 1.** მოზარდს შვებულება ადმინისტრაციის მიერ უნდა მიეცეს, შეძლებისდაგვარად, ზაფხულის თვეებში (მაისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე, რაც უფლებას არ ართმევს მოზარდს ისარგებლოს შვებულება სხვა დროსაც.

**შენიშვნა 2.** იმ პირს, რომელიც შეთავსებით მუშაობს, შვებულება შეთავსებული თანამდებობისათვის მიეცემა ძირითად თანამდებობისათვის მიღებულ შვებულებასთან ერთად.

მუხ. 8. შვებულება, გარდა იმ შემთხვევისა, რაც გათვალისწინებულია ამა მუხლის (8) შენიშვნით,— მიეცემა მხოლოდ ერთხელ საკალენდრო წლის განმავლობაში (მუხ. 114). იგივე წესი უნდა იქნეს შეფარდებული შვებულებათა შეერთების დროს. იმას, ვინც მიმდინარე წელიწადს შვებულებას ისარგებლებს,—შემდეგი მორიგი შვებულების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მომავალ საკალენდრო წელიწადში.

**შენიშვნა.** მორიგი ან შეერთებული შვებულების ვადის განაწილება შეიძლება ადმინისტრაციისა და მშრომელთა ურთიერთ შეთანხმებით.

## IV კომპენსაცია.

მუხ. 9. მუშა-მოსამსახურეს, რომელიც კვლავ შეევა სამსახურში მას შემდეგ, რაც იგი დათხოვნის დროს მიიღებს შვებულებას ნატურად ან სრულ კომპენსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციად (ამა დადგენილების 1, 10 და 13 მუხლი),—უფლება აქვს მიიღოს ახალი შვებულება არა უადრეს შემდეგი საკალენდრო წლის დაწყებისა, თუნდაც მუშამ (მოსამსახურემ) შემდეგი საკალენდრო წლის დაწყებამდე $5^1/_2$ თვეზედაც მეტი იმუშაოს ახალ ადგილას.

მუხ. 10. მორიგი შვებულების ნაცვლად კომპენსაციის მიცემა შეიძლება მარტოოდენ მუშათა საკონტროლო კომისიის თანხმობით, ხოლო, უკეთუ იგი არ არსებობს,—პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანოს შეთანხმებით ადმინისტრაციასთან. მუშათა საკონტროლო კომისია ან კავშირთა ორგანო, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ნებას დართავს კომპენსაციის მიცემისას, უკეთუ ამა თუ იმ პირისათვის შვებულების მიცემას შეუძლიან არა სასარგებლო გავლენა მოახდინოს დაწესებულების ან საწარმოს მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე.

**შენიშვნა.** აკრძალულია შვებულების მიუცემლობა და მის მაგიერ კომპენსაციის მიცემა ორ წელიწადზე ზედი-ზედ.

მუხ. 11. აკრძალულია მიუცემლობა და აგრეთვე ფულადი კომპენსაციით შეცვლა დამატებითი შვებულებისა, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 115 მუხლით, და აგრეთვე არა სრულწლოვანთა მორიგი შვებულებისა, გარდა ამა დადგენილების 113 მუხლში აღნიშნული შემთხვევებისა.

მუხ. 12. სასყიდელი საწარმოს მიზეზით გამოუყენებელი შვებულებისა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს გამოუყენებელი შვებულების ხანგრძლივობის თანაბრად; ამასთანავე საფუძველად მიღებულ უნდა იქნეს ფაქტიური ხელფასი მუშისა კომპენსაციის მიღების წამს.

მუხ. 13. როდესაც ამა თუ იმ მიზეზით მუშა-მოსამსახურე დათხოვნილ იქნება და დათხოვნის წამს აქვს შვებულების მიღების უფლება მიმდინარე საკალენდრო წელიწადში, მას უნდა მიეცეს, გარდა სამსახურიდან გასვლის დახმარებისა,—უკეთუ ასეთი ერგება (შრომის კანონთა კოდექსის 88 მუხლი),—აგრეთვე კომპენსაციაც მიუღებელი მორიგი და დამატებითი შვებულებისა.

**შენიშვნა.** უკეთუ მუშა-მოსამსახურეს წინა საკალენდრო წელიწადში ნატურად შვებულების მაგიერ მიეცემა სრული კომპენსაცია,—მისი უფლება მიმდინარე საკალენდრო წელიწადში დათხოვნის დროს გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის მიღებისა—მოწესრიგდება 14 მუხლის შენიშვნის თანახმად

მუხ. 14. იმ შემთხვევაში, როდესაც დათხოვნილს ჯერ კიდევ არა აქვს უფლება შვებულების (მორიგი ან დამატებითი) მიღებისა მიმდინარე საკალენდრო წელიწადში,—მას მიეცემა კომპენსაცია პროპორციონალურად ნამუშევარი დროისა (მუხ. 3), სახელდობრ: უკეთუ შვებულება ორი კვირით ეძლევა—თვიური ხელფასის $^1/_{24}$ ანგარიშით თვითეული ნამუშევარი თვისათვის, ხოლო უკეთუ შვებულება ერთი თვით ეძლევა—იმავე ხელფასის $^1/_{12}$ ანგარიშით. იმას, ვისაც ორ კვირაზე ნაკლები უმუშავნია, დათხოვნის დროს კომპენსაციის მიღების უფლება არა აქვს.

**შენიშვნა.** უკეთუ დათხოვნილმა მუშა-მოსამსახურემ წინა საკალენდრო წელიწადში მიიღო სრული შვებულება ან კომპენსაცია, ამა მუხლში აღნიშნული კომპენსაციის როადენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს პროპორციონალურად იმ დროისა, რაც მუშა-მოსამსახურეს უმუშავნია მიმდინარე წლის იანვრის 1-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 15. მიუღებელი შვებულების კომპენსაცია, გარდა დათხოვნის შემთხვევისა, მიცემულ უნდა იქნეს დეკემბერში.

მუხ. 16. კომპენსაცია მიუღებელი შვებულებისა შეთავსების დროს მიცემულ უნდა იქნეს, როგორც ძირითადი, ისე შეთავსებული თანამდებობისათვის (7 მუხლის მე-2 შენიშვნა და მუხ. 10).

## V ზოგადი დებულებანი.

მუხ. 17. მორიგ ან დამატებითი შვებულებაში მყოფი მუშა-მოსამსახურის დათხოვნა არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხდება დაწესებულებისა, საწარმოსი და მეურნეობის სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია და აგრეთვე იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ბ“ პუნქტით და 80 მუხლით.

მუხ. 18. შვებულებაში წასულ მუშა-მოსამსახურეს შეეხახება ჯამაგირი, როგორც მორიგი, ისე დამეტებითი შვებულების დროის განმავლობაში. საწარმო მისცემს გასამრჯელოს შვებულებაში წასულს ავანსად—შვებულების მიღების დროს—იმ რაოდენობით, რაც ეთანაბრება შვებულებაში წასულის ფაქტიური ხელფასიის რაოდენობას უკანასკნელი გადახდის პერიოდში. უკეთუ შვებულებიდან დაბრუნებისას ტარიფი გადიდებულ იქნა—დაბრუნებულს მიეცემა განსხვავება მიღებულ ავანსსა და იმ ხელფას შორის, რაც მას უნდა მიეღო ახალი განაკვეთით.

მუხ. 19. ყველა შემთხვევა მორიგი და დამატებითი შვებულებისა, დრო და ვადა მისი სარგებლობისა, კომპენსაციის მიღებისა, მისი რაოდენობა, კომპენსაციის გაცემის დრო და აგრეთვე საფუძველი მისი გაცემისა—უნდა აღინიშნოს ანგარიშგასწორების წიგნაკში.

მუხ. 20. დადგენილება ესე არ შეიძლება გახდეს საფუძვლად მშრომელთათვის შვებულების მიცემის იმ პირობების გაუარესებისა, რაც განსაზღვრულია კოლექტიური ხელშეკრულებით და სატარიფო შეთანხმებით.

მუხ. 21. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ან მისი ორგანოების მიერ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე ყველა წინად გამოცემული დადგენილება, რაც ამა დადგენილებას ეწინააღმდეგება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვ-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნომბრის 9-ს თარიღის 258 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 99 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ნოემბრის 6.

**228. დასავლეთ საქართველოს რაიონებად განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფელო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წლის აპრილის 23-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხლის საფუძველზე—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი განაწილება დასავლეთ საქართველოს რაიონებისა მოსავლიანობის მიხედვით, თანახმად იმ კატეგორიებისა, რაც დადგენილია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ ამა წლის მაისის 29-ს გამოცემული დეკრეტით.

მეორე კატეგორია (25—40 ფუთი)—ლეჩხუმისა და რაჭის მაზრა.

მესამე კატეგორია (40—50 ფუთი)—ზუგდიდისა, ოზურგეთისა და შორაპნის მაზრა და აჭარისტანი.

მეოთხე კატეგორია (50—60 ფუთი)—ქუთაისისა და სენაკის მაზრა და აფხაზეთი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 10-ს თარიღის 259 №-ში.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ნოემბრის 1.

**229. საღერბო წესდების საალფაბიტო ნუსხის მე-6 და სხვ. №№-ში საჩერვონცო მინიმუმის დაწესების შესახებ.**

საღერბო წესდების დაწერილებითი საალფაბიტო ნუსხის მე-6, 10, 43, 68, 73 (6, 9 და 10 ჰ.ა.), 158 (6 ჰ.), 167 და 171 №№-ში აღნიშნულ აუცილებელ მინიმუმად (100.000 მან. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) დაწესებულ იქნეს 3 საჩერვონეცო მანეთი.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისარიატის კოლეგიის წევრი **ერქომაიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 11-ს თარიღის 260 №-ში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ნოემბრის 8.

## 230. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ერთ მილიონნიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ტრიალის შესახებ.

რადგანაც ერთ მილიონნიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი იბეჭდება, სხვათა შორის, უნიშანწყლო ქაღალდზეც, ვაცხადებთ მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნების აღნიშნულ კუპიურს აქვს კანონიერი მსვლელობა ნიშანწყლიან ქაღალდზე დაბეჭდილი კუპიურების თანაბრად და ამიტომ სავალდებულოა მისაღებად ყველა,—გამოუნაკლისად,—სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარის მაგიერ **გენკინი.**

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის
საველიუტო სამმართველოს უფროსის მაგიერ **კალანთაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 11-ს თარიღის 260 №-ში.

---

# დადგენილება № 174 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ნოემბრის 9.

## 231. საშემოსავლო გადასახადის აკრეფის წესისათვის გამოცემული ინსტრუქციის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 10 და 13—17 მუხლის საფუძველზე—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

საშემოსავლო გადასახადის აკრეფის წესის ინსტრუქციაში აღნიშნული ვადების ნაცვლად, 1923—1924 საბიუჯეტო წლის პირველი საშენაწერო ნახევარწლისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები:

1. არა უგვიანეს 1923 წლის დეკემბრის 1-სა:

ა) სიების მიწოდება სახლის მეპატრონეთა და სახლის მმართველობათა მიერ ქალაქებში (§ 91 ინსტრუქციისა);

ბ) შეტყობინება სავაჭრო-სამრეწველო და სხვ. კომერციულ საზოგადოებათა, საპაიო ამხანაგობათა და საკრედიტო დაწესებულებათა ნუსხისა იმ დაწესებულებების მიერ, რომელნიც ამტკიცებენ და რეგისტრაციაში ატარებენ აღნიშნულ საწარმოთა წესდებებს (§ 95 ინსტრუქციისა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) წარდგენა ამხანაგობათა წევრებისა, პაის მქონებელთა, მეანაბარეთა და სხვ. სიისა და აგრეთვე ცნობებისა იმ პირთა შესახებ, რომელნიც ღებულობ-დნენ რიგიმე გასამრჯელოს (§ 96 ინსტრუქციისა);

დ) წარდგენა სიებისა ჯამმრთელობის განყოფილებათა და დამცველთა კოლეგიის მიერ (§ 97 ინსტრუქციისა).

2. დეკლარაციების მიწოდება შემოსავლის შესახებ (§ 109 ინსტრუქციისა) 1923 წლის დეკემბრის 15-სათვის.

3. დარიგება საშენაწერო ფურცლებისა (§ 149 ინსტრუქცისა) 1924 წლის თებერვლის 1-სათვის.

4. გასტუმრება გადასახადისა (§ 154 ინსტრუქციისა) არა უგვიანეს 1924 წლის მარტის 1-სა.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მაგიერ **ერქომაიშვილი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 13-ს თარიღის 261 №-ში.

---

# დადგენილება № 71 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

## 232. ბავშვის მოსავლელად დახმარების მიცემის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 183 მუხ. განსავითარებლად და ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს მიერ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ჟამს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფისა და სხვადასხვა დამატებითი უზრუნველყოფის შესახებ 1922 წლის აგვისტოს 23-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-4 მუხლის დასამატებლად — ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში, რომ დახმარებას ბავშვის მოვლის საქმისათვის მიზნად აქვს საშუალება მისცეს დაზღვეულს თავის დროზე დაამზადოს ბავშვისათვის საჭირო მოსავლელი საგნები, — ადგენს:

1. დახმარება ბავშვის მოვლისათვის გაცემულ იქნეს ერთი თვით ადრე, ვიდრე შშობიარობის გათვალისწინებული ვადა დადგებოდეს.

2. აღნიშნული დახმარების მისაღებად საჭიროა საექიმო-საკონტროლო კომისიის მოწმობის წარდგენა შშობიარობის გათვალისწინებული დროის შესახებ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი**.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
სოციალური დაზღვევის მთავ. განყ. უფროსის
მაგიერ, საერთო-საორგან. განყ. გამგე **ორლოვ-მალახოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 15-ს თარიღის 263 №-ში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 72 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

## 233. სხვადასხვა სხდომისათვის უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების გამოწვევის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს სწორი და მიზანშეწონილი წესი უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების გამოწვევისა სხვადასხვა კომისიის, თათბირის, საბჭოს, კომიტეტის დი სხვ. სხდომებზე და რათა თავიდან აცილებულ იქნეს დროის უნაყოფოდ დაკარგვა სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ, რომელნიც დანიშნულ იქნებიან წარმომადგენლებათ სხდომებზე, როგორც წევრნი ამ სხდომებისა ან როგორც დამცველნი მათი წარმგზავნელი ორგანოების ინტერესებისა,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, თანახმად ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის აგვისტოს 25-ს დადგენილებისა,—აცხადებს:

1. დაბარების უწყება და მიწვევა სხდომისათვის უნდა გაგზავნოს იმ დაწესებულებამ, რომელიც ხელმძღვანელობს სხვადასხვა, როგორც მუდმივი, ისე დროებითი ხასიათის კოლეგიალური ორგანიზაციის მოქმედებას,—თავის დროზე და სხდომის დროისა და ადგილის სწორი აღნიშვნით. იმ საკითხებისათვის, რომელთაც საწრაფო ხასიათი აქვს და არ მოითხოვს წინასწარ მომზადებას—არა უგვიანეს ერთი დღისა სხდომამდე; ხოლო რთული საკითხებისათვის რომელიც მოითხოვს მომზადებას ან მასალის გაცნობას,—არა უგვიანეს სამი დღისა სხდომამდე.

2. უკეთუ სხდომაზე მიწვეულ იქნება უწყების ან დაწესებულების წარმომადგენელი მსჯელობაში მონაწილეობის მისაღებად, ინტერესების დასაცავად ან იმფორმაციისათვის სხდომის დღიური წესრიგის ერთ-ერთი სსკითხის გადაწყვეტის დროს,—ასეთი პირი მიწვეულ უნდა იქნეს სხდომაზე იმ დროისათვის, როდესაც, სხდომის თავმჯდომარის ანგარიშით, დადგება აღნიშნული საკითხის განხილვის რიგი.

3. დაბარებული და მიწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულ დროს, ხოლო უკეთუ გამოცხადება შეუძლებელია,—ვალდებულია აცნობოს ეს სხდომის თავმჯდომარეს წერილობით ან ტელეფონით და განუმარტოს მას გამოუცხადებლობის მიზეზი.

4. თავმჯდომარე გახსნის სხდომას დანიშნულ დროს და დაუყოვნებლივ, როგორც კი მოწვეული პირთა საკმაო რიცხვი გამოცხადდება. უკეთუ ხუთმეტი წამის განმავლობაში დანიშნული დროის შემდეგ მოწვეული პირთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდება,—თავმჯდომარე განაცხადებს, რომ სხდომა არ შესდგება.

5. კოლეგიური ორგანიზაციის მოქმედების სელმძღვანელი დაწესებულების უფროსი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო უწყების უფროსს არგამოცხადებულ თანამშრომელთა შესახებ, რათა მათ დაედოს გადასახდელი ამა დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

6. დამნაშავე ზემოაღნიშნული წესების შეუსრულებლობისათვის მიიცემა პასუხისგებაში დისციპლინარული წესით, ხოლო სისტემატიურად დარღვევისათვის ან ისეთ შემთხვევაში, რომელსაც ასე თუ ისე ბნიშვნელოვანი შედეგი ექნება,—მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც ისეთი პირი, რომელიც სამსახურს დაუდეგრად ეკიდება.

**ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი ს. იაკუბოვი.**
**ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის**
საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვ-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 15-ს თარიღის 263 №-ში.

---

# დადგენილება № 100 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 1.

## 234. რკინისგზის სერტიფიკატების გამოშვების შესახებ.

გზათა სახალხო კომისარიატის საბრუნავ სახსართა გასადიდებლად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამა 1923 წლის ივლისის 26-ს დაადგინა:

1. გზათა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოუშვას უპროცენტო სასესხო ვალდებულება (სატრანსპორტო სერტიფიკატები) თითო მილიონიან სერიებად—ხუთი მილიონი მანეთისა ოქროთი პირდაპირი სრული დაფარვით და გადასახდელში მიღების გზით ან გამოსყიდვით 1924 წლის მარტის 1-სათვის.

2. სერტიფიკატების დაფარვა უზრუნველყოფილია რკინისგზისა და წყალის (ზღვა და მდინარენი) ტრანსპორტის მთელი შემოსავლით და ფინანსთა სახალხო კომისარიატის გარანტიით.

3. სერტიფიკატი სავალდებულოა მისაღებად მგზავრისა, ბარგისა და ტვირთის გადაყვან-გადაზიდვის სასყიდელში და რკინისგზისა და წყლის (ზღვა და მდინარენი) ტრანსპორტის სხვა სამსახურის სასყიდელში.

4. სერტიფიკატების რეალიზაცია მოხდება ფინანსთა და გზათა სახალხო კომისარიატების მიერ უშუალოდ მათი ორგანოებისა, საკრედიტო დაწესებულებათა ან საფონდო ბირჟის მეშვეობით.

გადასახდელში მიღებისა და დაფარვის დროს ანგარიშის გასწორება მოხდება სპეციალური საკუტერო კომისიის მიერ დადგენილ ოქროს მანეთის კურსისამებრ.

5. სერტიფიკატები, რაც რკინისგზის სალაროებში შევა სამსახურის სასყიდლის გასასტუმრებლად,—შეიძლება კვლავ გამოშვებულ იქნეს ხმარებაში 1924 წლის იანვრის 31-მდე.

6. 1924 წლის თებერვლის 1-დან მარტის 1-მდე სერტიფიკატები შეიძლება წარდგენილ იქნეს რკინისგზის კასაში, როგორც რკინისგზის მიერ გაწეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურის სასყიდლის გასასტუმრებლად, ისე მათ შესასყიდად ნაღდი ფულით

7. სერტიფიკატები გამოშვებულ იქნება 25 მანათიანზედ ოქროთი—ვალუტა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების შეთანხმებით.

8. დაწვრილებითი წესები სერტიფიკატების დაფარვის საშუალებისა და წესის შესახებ განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც შეიმუშავებენ ფინანსთა და ვალუტა სახალხო კომისარიატები ურთიერთთან შეთანხმებით.

თანახმად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებისა—ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკალება გამოსცეს ხოლმე ცალკე ინსტრუქციები აღნიშნული სერტიფიკატების კურსის განსაზღვრის წესის შესახებ და აგრეთვე მათი კოტერობის შესახებ ამიერკავკასიის სასაქონლო—საფინდო ბირჟებზე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 16-ს თარიღის 264 №-ში.

---

# დადგენილება № 101 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 1.

## 235. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის რეალიზაციაში.

რათა სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურმა) და კოოპერატიულმა საწარმოებმა უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის რეალიზაციაში—ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს აღნიშნულ საწარმოთათვის შემდეგი სავალდებულო წესი სესხის ობლიგაციების შეძენისა:

1. სარეწავი გადასახადის სანახევარწლო სარეწავივ მოწმობის აღების დროს სახელმწიფო საწარმო (აგრეთვე კომუნალური საწარმოც) და კოოპერატიული საწარმო ვალდებულია შეიძინოს სესხის ობლიგაცია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარეწავი მოწმობის აღების დროს პირველი ორი კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—ერთი ობლიგაცია, მესამე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათ-

ვის—სამი ობლიგაცია, მეოთხე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—ათი ობლიგაცია და მეხუთე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის ოცდახუთი ობლიგაცია;

ბ) სარეწავი მოწმობის აღების დროს პირველი კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ერთი ობლიგაცია, მეორე და მესამე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—სამი ობლიგაცია, მეოთხე კატეგორიის საწარმოსათვის—ხუთი, მეხუთე კატეგორიის საწარმოსათვის—შვიდი, მეექვსე კატეგორიის საწარმოსათვის—ათი, მეშვიდე კატეგორიის საწარმოსათვის—ცამეტი, მერვე კატეგორიის საწარმოსათვის—ხუთმეტი, მეცხრე კატეგორიის საწარმოსათვის—ოცი, მეათე კატეგორიის საწარმოსათვის—ოცდაათი, მეთერთმეტე კატეგორიის საწარმოსათვის—ორმოცი და მეთორმეტე კატეგორიის საწარმოსათვის—ორმოცდაათი ობლიგაცია—ხუთი-ხუთი მანათიანი.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრდებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებული „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 16-ს თარიღის 264 №-ში,

---

# დადგენილება № 102 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 1.

## 236. სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის იძულებითი გავრცელების შესახებ მცხოვრებთა შეძლებულ წრეებში.

მაშინ, როდესაც მუშათა კლასი კრლექტიური ხელმოწერის გზით აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის გავრცელებაში,—შეძლებულ მცხოვრებთა წრეების მონაწილეობა სესხზე ხელმოწერაში სრულიადაც არ შეეფერება იმ საშულებათ, რაც დღეს მათ განკარგულებაშია.

სცნობს რა საჭიროდ, რომ დამყარებული იქნეს იძულებითი წესი აღნიშნული სესხის ობლიგაციების გავრცელებისა კერძო ორგანიზაციათა, საწარმოთა და პირთა შორის,—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარეწავი გადასახადის სანახევარწლო სარეწავი მოწმობის მიღების დროს კერძო საწარმო, ორგანიზაცია და პირი ვალდებულია შეიძინოს სესხის ობლიგაციები შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ამღები სარეწავი მოწმობისა პირველი ორი კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—ერთი ობლიგაცია, მესამე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—სამი ობლიგაცია, მეოთხე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—ათი ობლიგაცია და მეხუთე კატეგორიის სავაჭრო საწარმოსათვის—ოცდა ხუთი ობლიგაცია—ხუთ-ხუთ მანათიანი.

ბ) მიმღები სარეწავი მოწმობისა პირველი კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის —ერთი ობლიგაცია, მეორე და მესამე სამრეწველო საწარმოსათვის—სამი, მეოთხე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ხუთი, მეხუთე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—შვიდი, მეექვსე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ათი, მეშვიდე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ცამეტი, მერვე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ხუთმეტი, მეცხრე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ოცი, მეათე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ოცდაათი, მეთერთმეტე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ორმოცი, მეთორმეტე კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის—ორმოცდა ათი ობლიგაცია—ხუთ-ხუთი მანათიანი.

გ) ამღები სარეწავი მოწმობისა პირადი პირველი და მეორე კატეგორიის სარეწავი მოსაქმეობისათვის—ერთი ობლიგაცია, მესამე კატეგორიის პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის—ორი ობლიგაცია, მეოთხე კატეგორიის პირადი მოსაქმეობისათვის—სამი და მეხუთე კატეგორიის პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის—ათი ობლიგაცია ხუთ-ხუთ მანათიანი.

2. ობლიგაციების მიღება ამა დადგენილების პირველი მუხლის წესით უნდა აღინიშნოს სარეწავ მოწმობაში—ხელისმოწერისათვის მიცემული ობლიგაციების ნომრების ჩაწერით.

3. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრებასთან ერთად კერძო საწარმო, ორგანიზაცია და პირი ვალდებულია შეიძინოს სახელმწიფო 6% სესხის ობლიგაციები შემდეგ საფუძველზე:

ა) გადამხდელი, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით („ზარია ვოსტოკა“, 1923 წ. ოქტომბრის 3, № 266) დამტკიცებული საშემოსავლო გადასახადის ნუსხის მიხედვით მიეკუთვნება 1-სა და მე-2 კატეგორიას,—უკეთუ იგი არ წარადგენს დასამტკიცებელ საბუთს, რომ მან შეიძინა 6% მომგებიანი სესხის ობლიგაციები სარეწავი მოწმობის მიღების დროს,—ერთი ობლიგაცია ხუთ მანათიანი.

ბ) გადამხდელი, 3 და 4 კატეგორიას მიკუთვნებული—ორი ობლიგაცია.

გ) გადამხდელი, 5 და 6 კატეგორიას მიკუთვნებული—სამი ობლიგაცია.

დ) გადამხდელი, 7 და 8 კატეგორიას მიკუთვნებული—ხუთი ობლიგაც.

ე) გადამხდელი, 9 და 10 კატეგორიას მიკუთვნებული—შვიდი ობლიგაც.

ვ) გადამხდელი, 11 და 12 კატეგორიას მიკუთვნებული—ცხრა ობლიგაც.

ზ) გადამხდელი, 13 კატეგორიას მიკუთ.—თორმეტი ობლიგ. ხუთ-ხუთ მან.

ი) გადამხდელი, რომელიც მიეკუთვნება 14 და უფრო მაღალ კატეგორიას—ქონებრივ საშემოსავლო გადასახადის შენაწერის 25% თანხის რაოდენობისა—მეტ-ნაკლებობისა შემოსწორების ზე-აწევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სესხის ობლიგაციების შეძენა ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესით უნდა აღინიშნოს საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების ქვითარში გაცემული ობლიგაციების ნომრების ჩაწერით.

5. უკეთუ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ სალაროში არ არის ობლიგაციები ან არ არის საკმარ რაოდენობა ამ ობლიგაციებისა, რათა განხორციელებულ იქნეს საკადღებულო ხელისმოწერა, საფინანსო განყოფილებანი მოვალენი არიან, დაუჭერენ რა ხელისმომწერთ საჭირო თანხებს, მისცენ ხოლმე მათ დროებითი ქვითარები და იზრუნონ—რაც შეიძლება სასწრაფოდ შესცვალონ ეს ქვითარები სესხის ობლიგაციებად.

6. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყველა სალარო, რომელიც კი ღებულობს საშემოსავლო გადასახადს და იძლევა სარეწავ მოწმობას, —ვალდებულია არ მისცეს ქვითარი საშემოსავლო გადასახადის გასასტუმრებლად მიღებული თანხისათვის და შეაჩეროს სარეწავი მოწმობის მიცემა, ვიდრე შეძენილ არ იქნება მომგებიანი სესხის ობლიგაციები თანახმად ამა დადგენილებისა.

7. ამა დადგენილების წესით გაცემულ სესხის ობლიგაციაზე სათანადო სალაროს უნდა აღინიშნოს: „არ მიიღება გირაოდ და არ აქვს კოტირობა ბირჟაზე.“

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო
კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ნოემბრის 16-ს თარიღის 264 №-ში.

---

## დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 5.

### 237. საძოვართა შემოსავლის ანარიცხის გადადების შესახებ ადგილობრივი ორგანოების საჭიროებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებული სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წლის აპრილს 2-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის დასამატებლად და აგრეთვე იმისათვის, რათა ადგილობრივი ორგანოების სახსარი გაძლიერებულ იქნეს,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 25 პროც.-იანი ანარიცხი საძოვართა შემოსავლიდან სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ.

2. აღნიშნული ანარიცხი გადადებულ იქნეს იმ თანხიდან, რაც შემოსული იქნება ა. წ. ოქტომბრის პირველიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ნოემბრის 17-ს თარიღის 265 №—ში.

---

# დადგენილება № 103 ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს.

**1923 წ. ნოემბრის 1.**

**238. სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის იძულებითი გავრცელების შესახებ სამუშაოს ნარდად ამღებ კერძო პირთა, კერძო გამყიდველ-მიმწოდებელთა და კომისიონერთა შორის.**

სახელმწიფო 6% მომგებიანი სესხის შეძლებულ მცხოვრებთა შორის იძულებით გავრცელების შესახებ 102 №-რით გამოცემული დადგენილების დასამატებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**:

1. შემოღებულ იქნეს ისულებითი წესი სახელმწიფოს 6% მომგებიანი სესხის ობლიგაციების გავრცელებისა კერძო საწარმოთა და იმ პირთა შორის, ვინც სამუშაოს ნარდად ამღებია, გამყიდველ-მიმწოდებელია და კომისიონერი სახელმწიფო (მათ შორის კომუნალური), კოოპერატიული და კერძო დაწესებულებისა და საწარმოსი,—შემდეგ საფუძველზე (მუხ.2—5).

2. როდესაც 1-ლ მუხლში აღნიშნულმა დაწესებულებამ და საწარმომ უნდა გადაუხადოს სამუშაოს ნარდად ამღებ კერძო პირს და კერძო გამყიდველ-მიმწოდებელს თანხა, რაც მას ერგება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე დადებული ხელშეკრულებით,—15 პროცენტი თვითეული გასაღები თანხისა აუცილებლად მომგებიანი სესხის ობლიგაციით უნდა მისცეს.

3. მას, ვინც საკომისიო გასამრჯელოს მიიღებს 1-ლ მუხ. აღნიშნული დაწესებულებისა და საწარმოსაგან, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე მიღებული ვალდებულებისა და დავალებისათვის, აუცილებლად უნდა მიეცეს ხოლმე საკომისიო გასამრჯელოს ანგარიშში ყოველთვის, როცა იგი ეძლევა, მისაცემი თანხის 20% მომგებიანი სესხის ობლიგაციებით.

4. სასყიდლის ნაწილის მომგებიანი სესხის ობლიგაციებით მიცემა საფუძვლად ვერ დაიდება ნარდი სამუშაოს და გაყიდვა-მიწოდების ფასის და საკომისიო გასამრჯელოს რაოდენობის გადიდებას.

5. გამყიდველ-მიმწოდებლისა და კომისიონერისათვის ზემოაღნიშნულ საფუძველზე ობლიგაციების მისაცემად პირველ მუხლში აღნიშნული დაწესებულება და საწარმო ვალდებულია შეიძინოს ცალკე განცხადებით, რასაც საღერბი გამოსაღები არ გადაჰხდება, სესხის ობლიგაციები, რომლებსაც უნდა ჰქონდეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო სალაროს წარწერა: „არა აქვს კოტერობა ბირჟაზე და გირაოდ არ მიიღება“. ზემოდ აღნიშნული დაწესებულება და საწარმო ვალდებულია იქონიოს სწორი აღნუსხვა ამგვარი ობლიგაციებისა, ხოლო ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო სალაროო ვალდებულია ამა წესით გაყიდულ სესხის ობლიგაციებს გაუკეთოს რეგისტრაცია და აღნიშნოს დაწესებულება და საწარმო, რომელმაც ობლიგაციები მიიღო, და ნომრები თვით ობლიგაციებისა.

6. ამა დადგენილების დარღვევა სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულების და საწარმოს თანამდებობის პირისა და აგრეთვე კერძო პირისა და დაწესებულებების მიერ დაისჯება ამიერკავკასიის სოც. ფედ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსით.

7. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიას სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებ.
დროებ. აღმასრ. **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივ. თანამდ. დროებ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ნოემბ. 17 თარ. 265 №-ში

---

# დადგენილება № 104 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ნოემბრის 1.

## 239. ჩერვონეცის ერთიანი კურსის შესახებ.

1. შემოღებულ იქნეს ყველგან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი, გადასახადისა და გამოსაღების გადასახდევინებლად,—მათ შორის კომფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალური მეურნეობის შემოსავლისა, აგრეთვე საბაჟო გამოსაღების გადასახდევინებლად—ერთიანი ოფიციალური კურსი ჩერვონეცისა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

2. ჩერვონეცის ერთიან ოფიციალურ კურსად ჩაითვალოს ტფილისის სავალიუტო-საფონდო ბირჟის მიერ წინადღით გამოცხადებული კურსი.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას ერთიანი კურსი გადაეცემა დაწესებულებათ და ორგანიზაციათ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი ცალკე სიით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპ. სახალხო
კომის. საბჭოს საქმ. მმართვ. თანამდ. დრ. აღმასრ. **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

266 გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ნოემბრის 18 თარიღის №—ში.

---

# დადგენილება № 105—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ნოემბრის 1.

## 240. ჩერვონეცის ერთიანი ოფიციალური კურსის გადაცემის წესის შესახებ მთლად ამიერკავკასიაში.

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი გადასცემს ტელეგრაფით, რიგს გარეშე, ჩერვონეცის ერთიან ოფიციალურ კურსს, როგორც ყველა თავის ადგილობრივ კონტორას და განყოფილებას, ისე დაწესებულებათ და ორგანიზაციათ—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცალკე სიის მიხედვით,—დადგენილი სასყიდლის გადაუხდევინებლად.

**შენიშვნა.** იმ ადგილას, სადაც ტელეგრაფი არ არის, კურსი გადაიცემა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ საგანგებო შიკრიკის მეშვეობით, რისთვისაც გადახდევინებულ უნდა იქნეს ნიმდვილი ხარჯი, რაც ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ანგარიშს უნდა მიეწეროს—ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. ამიერკავკასიის რკინისგზის სამმართველო გადასცემს ჩერვონეცის ერთიან ოფიციალურ კურსს ტელეგრაფით რკინისგზის ხაზის ყველა სადგურს არსებული სასყიდლის გადაუხდევინებლად.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა შეადგინოს იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სია, რო-

მელნიც ჩერვონეცის ერთიან ოფიციალურ კურსს იღებენ და დაამყაროს კურსის ადგილობრივ გადაცემის წესი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროზე. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ნოემბრის 18-ს თარიღის 266 №-ში.

---

# დადგენილება № 106 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესაუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ნოემბრის 1.

## 241. საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო განცხადებების წესის შეცვლის შესახებ.

საჯარო ანგარიშგებისა და საეალდებულო განცხადებების წესის შესახებ ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 57 №-რით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 142 №-რი) შესაცვლელად—ხსენებული დადგენილების მე-14 და 15 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

14. საჯარო ანგარიშგების წესების შესრულების მეთვალყურეობა დაეკისრება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელიც ამა წესების დარღვევის გამოაშკარავებისას აღძრავს, არსებული წესისაებრ, სასამართლო დევნას დამნაშავეთა წინააღმდეგ.

15. ამა დადგენილების შეფარდების წესებსა და ინსტრუქციას, აგრეთვე იმ ფორმებს, რომლის მიხედვითაც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ბალანსები, შეიმუშავებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით. ეს წესები, ინსტრუქციები და ფორმები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდ. დროზე. აღმ. **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროზე. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ნოემბრის 18-ს თარიღის 266 №-ში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲗᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ**

ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის მაგიერ ე. **გენკინ.**

# ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

**242 საჯარო ანგარიშგების წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, კერძო და შერეულ სავაჭრო—სამრეწველო საწარმოთათვის, რომელთაც თავიანთი ცენტრები (გამგეობანი) აქვთ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე.**

საჯარო ანგარიშგების წესის შესახებ 1923 წლის ივნისის 21 თარიღით და 57 №-ნომრით გამოცემული დებულების განსაკუთარებლად—ანგარიშგების სისწორისა და, აგრეთვე, ერთგვაროვნობის მიზნით, დადგენილ იქნეს შემდეგი წესები:

1 საჯარო განგარიშგება საეალდებულოა შემდეგ საავაჭრო-სამრეწველო საწარმოსათვის:

ა. ყველა საალაქიო საზოგადოებისათვის, საპაიო ამხანაგობისათვის, საკონცესიო საწარმოსათვის და შერეული საზოგადოებისათვის, რომელიც მოქმედებს სათანადო წესისამებრ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

ᲑᲐ. სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელიც მოქმედებს ხელშეკრულების საფუძველზე, იმ პირობით, რომ ხელშეკრულებითი ამხანაგობის კაპიტალის რაოდენობა, სარეგისტრაციო ორგანოში თავდაპირველად განსცხადებული, იქნება არა ნაკლებ 2. 500 ჩერვონეცისა—ბანკნოტის ოფიციალური კურსით; უკეთუ ხელშეკრულებითი ამხანაგობის თავდაპირველად განცხადებული საკუთარი კაპიტალი 2.500 ჩერვონეცს არ უდრის, ხოლო შემდეგში ბალანსით ამა თანხამდე მიაღწევს,—ამ წამიდან ამხანაგობისათვის დაიწყება ვალდებულება საჯარო ანგარიშგებისა.

გ. სახელმწიფო საწარმოთა ყოველგვარი შენაერთი (სინდიკატი, ტრესტი, კომბინატი და სხვ.), აგრეთვე ზემოაღნიშნულ შენაერთში შეუსველელი ცალკე სახელმწიფო საწარმო, უკეთუ მასში მოთავსებულ სახელმწიფო კაპიტალი ბალანსით იქნება არა ნაკლებ 5.000 ჩერვონეცისა—ბანკნოტის ოფიციალური კურსით.

**შენიშვნა.** „გ“ პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო საწარმოთა შორის საჯარო ანგარიშგებისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ ისეთი, რომელსაც სათანადო შუამდგომლობით საამისო ნებართვა მიეცემა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

**დ.** კოოპერატიული შენაერთი ამიერკავკასიის მასშტაბით, რესპუბლიკანური კავშირი ან მისი თანაბარი ორგანიზაცია, და აგრეთვე ყველა დანარჩენი კოოპერატივი, უკეთუ მის საპაიო კაპიტალი იქნება არა ნაკლებ 5.000 ჩერვონეცისა—ბანკნოტის ოფიციალური კურსით.

II. საოპერაციო-საანგარიშო წელიწადი ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოსათვის დადგენილია ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 31-დე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოქტომბრის 1-თვის შედგენილი საბოლოო ბალანსი გამოქვეყნებულ უნდა იქნეს გაზ. „ზარია ვოსტოკა—“ში არა უგვიანეს სამის თვისა, ე. ი. დეკემბრის 31—სა.

**შენიშვნა 1.** ამ საწარმომ, რომელიც თავის საოპერაციო წელიწადს ზემოაღნიშნულ საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში დაიწყებს,—უკვე მომქმედი იქნება იგი თუ ახლად დაარსებული,—არა-სრული წელიწადი სრულ წელიწადად უნდა ჩასთვალოს, ხოლო მას, რომელიც თავის მოქმედებას წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებს, შეუძლიან წლის ბოლო შეუერთოს შემდეგ საოპერაციო წელიწადს.

**შენიშვნა 2.** ახლად დაარსებულმა საჯარო ანგარიშგება-ვალდებულმა საწარმომ თავისი შესავალი ბალანსი უნდა გამოქვეყნოს ხოლმე გაზ. „ზარია ვოსტოკა“—ში.

**შენიშვნა 3.** ამიერკავკასიის ფედერაციის სინდიკატი, ტრესტი და სხვა სახელმწიფო საწარმო, რომელიც-კი კანონით მოვალეა რეგისტრაციის დროს წარადგინოს თავისი შესავალი ბალანსი, გამოაქვეყნებს ამ ბალანსს საჯარო ანგარიშგების წესისამებრ გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში.

III. ბალანსისა და სააღებმიცემო ბრუნვის ანგარიშის საერთო—სავალდებულო ფორმა ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებული საწარმოსათვის—ამასთანავეა დართული.

IV. ბალანსის ანგარიშების სივრცე,—სააღებმიცემო ბრუნვის ანგარიშის მუხლითურთ,—უმეტნაკლებოდ—უნდა შეესაბამებოდეს მათ სახელწოდებას, საჯარო ანგარიშგებისათვის საერთო-სავალდებულო ფორმაში, თუ სქემაში აღნიშნულს.

V. გამოქვეყნებული ანგარიშგება უმეტნაკლებოდ უნდა შეესაბამებოდეს საბუხჰალტერო დავთრების ანგარიშებს.

VI. საჯარო ანგარიშგება-ვალდებული საწარმოს ანგარიშწარმოება და ანგარიშგება დაფუძნებულ უნდა იქნეს ჩერვონეცის აღრიცხვაზე ბანკნოტების საბირჟო ოფიციალური კურსით, ხოლო იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, გამოანგარიშება და კონტროლი პარალელურად ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით უნდა იქნეს გატარებული.

VII. საბოლოო ბალანსი და სააღებმიცემო ბრუნვის ანგარიში შედგენილ უნდა იქნეს ჩერვონეცის (ბანკნოტი) აღრიცხვის საფუძველზე და ბალანსი ამავე ვალიუტით უნდა გამოქვეყნდეს.

VIII. ჩერვონეცის აღრიცხვაზე გადასვლა ყველა მომქმედ საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოში შეფარდებულ უნდა იქნეს 1924 წ. ოქტომბრის 1-თვის; საწარმო, რომელმაც ამა წესების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო მოქმედება, შედგენს ბალანსს და აწარმოებს ანგარიშებს ჩერვონეცებით საოპერაციო მოქმედების დღიდან, თანახმად VI §—სა.

IX. ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებული საწარმო წარადგენს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საველიუტო სამმართველოში თავის შესავალ და საბოლოო ბალანსს და იმავე დროს გაუგზავნის მას გამოსაქვეყნებლად გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს. ამას გარდა, ბალანსთან ერთად, ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენილ უნდა იქნეს სააღებმიცემო ბრუნვის ანგარიშიც, რაც არ გამოქვეყნდება.—

X. სახელმწიფო, შერეული და კოოპერატიული საწარმოს ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების გასაცნობად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფლება ეძლევა მოითხოვოს ხოლმე დამატებითი ცნობები; უკეთუ დამატებითი ცნობები დამაკმაყოფილებელი არ იქნება, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი მიმართავს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომელიც მოახდენს ზემოაღნიშნული საწარმოს მოქმედების რევიზიას და შემოწმებას მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულების წესისამებრ.

XI. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს სავალიუტო სამმართველოს უფლება ეძლევა ყველა კერძო საჯარო ანგარიშგება-ვალდებული საწარმოს სავაჭრო დავთრების და ანგარიშგების გაშინჯვისა.

XII. ამა ინსტრუქციის მოთხოვნათა აღუსრულებლობისათვის დამნაშავეს დაედება გადასახდელი სისხლის სამართლის კოდექსის შეფარდებით. იმ საწარმოს, სადაც ანგარიშწარმოება ამა ინსტრუქციის დარღვევით მიმდინარეობს, მოესპობა უფლება სახელმწიფო ბანკისაგან და სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან კრედიტის მიღებისა, ვიდრე შესრულებული არ იქნება ამა ინსტრუქციის მოთხოვნა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ნოემბრის 18-ს თარიღის 266 №-ში.

**(ბალანსისა და საალებმიცემო ბრუნვის ანგარიშის ფორმა შემდეგ გვერდზე იხ.)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 185 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. ნოემბრის 16.

**243. უგრიფო საღერბო მარკების გაუქმების ვადის შესახებ.**

ამიერკავკასიის სახის უგრიფო საღერბო მარკებს და აგრეთვე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ცალკე რესპუბლიკების მიერ წინად გამოშვებულ უგრიფო საღერბო მარკებს აქვს სავალდებულო მსვლელობა მარტიდან 1923 წ. დეკემბრის 15-დე, ხოლო ამ დროიდან აღნიშნული სახის საღერბო მარკები გაუქმებულია.

წინანდელი სახის მარკების შეცვლა გრიფიან საღერბო მარკებზე ან ახალი სახის მარკებზე, რომლებზედაც ფასი ჩერვონეცის გამოანგარიშებითაა აღნიშნული,—აკრძალულია.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახახალხო
კომისარის მოადგილე **ერკომაიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. ნოემბრის 20-ს თარიღის 267 №-ში.

---

# დადგენილება № 75 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. ნოემბრის 13.

**244. შემდგომი რეგისტრაციის წესით სამუშაოზე შესვლის უფლების მინიჭების შესახებ შრომის ბირჟის აღნუსხვაზე მყოფ პირთათვის, რომელნიც დახმარებას ექვსი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ იღებენ.**

იმ მიზნით, რათა შრომის ბირჟის აღნუსხვაზე მყოფ უმუშევართ, რომელნიც დახმარებას ექვსი თვის განმავლობაში იღებენ, შესაძლებლობა მიეცეთ სამუშაო დამოუკიდებლად იშოვნონ, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის ბირჟის ან საკორესპონდენტო პუნქტის აღნუსხვაზე მყოფ პირს, რომელიც დახმარებას ექვსი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ იღებს, უფლება ეძლევა, აღნიშნული ვადის გასვლისას, თითონ იშოვოს სამუშაო და შევიდეს ადგილზე ან სამუშაოზე შემდგომი რეგისტრაციის წესით.

2. პირველ მუხლში აღნიშნული პირის შესახებ მოთხოვნის წარდგენასთან ერთად დამქირავებელმა აუცილებლად უნდა დაურთოს ცნობა დამზღვევი კასისა—როდის მიიღო უმუშევარმა საუმუშევრო დახმარება და როდის მოესპო იგი.

3. უკეთუ ის უმუშევარი, რომელმაც ამა დადგენილების საფუძველზე ერთხელ უკვე მიიღო უფლება სამუშაოს შოვნისა შემდგომი რეგისტრაციის წესით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი 192..... წ. ..... 1-ის

## აქტივი.

| №№ რიგზე. | ანგარიშის სახელწოდება. | 192..... წ. 1-ის შემდეგი ანგარიშია. | ბრუნვა ..... დან ..... დე (ამ დროს განმავლობაში.) | | 192..... წ. 1-ის შემდეგი ანგარიშია. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დებეტი. | კრედიტი. | |
| | **1. ბუნებრ. სიმდ.** | | | | |
| 1. | მიწის ნაკვეთი შენობა ნაგებობიანი . . | | | | |
| 2. | სამადნო და წიალი . . . | | | | |
| 3. | სასოფ. სამეურნ. სანახები | | | | |
| 4. | სხვა სანახი . . . . . | | | | |
| | **2. ძირითადი დანახარჯი** | | | | |
| | **ა. წარმოებითი.** | | | | |
| 1. | შენობები და ნაგებ . . | | | | |
| 2. | მანქანები და მოწყობილ. | | | | |
| 3. | გაწყობა და სხვ. სახელსაწყო ინვენტარი . . . . | | | | |
| | **ბ. არაწარმოებითი** | | | | |
| | (პერსონალის გამორკვევ.) | | | | |
| 1. | შენობა . . . . . | | | | |
| 2. | სხვა ქონება . . . . . | | | | |
| | **გ. დაუმთავრ. შენობა და ნაგებობადა ძირითადი რემონტი** | | | | |
| | **3. საბრუნავი სახსარი** | | | | |
| | **ა. ფულადი სახსარი.** | | | | |
| 1. | სალარო | | | | |
| 2. | მიმდინარე ანგარიში | | | | |
| 3. | ვალიუტა და დევიზი . | | | | |
| | **ბ. ფასიანი ქაღალდები და სხვა საწარმოთა პაი** | | | | |
| | **გ. მატერიალური ფასეულობა** | | | | |
| 1. | ნედლეულობა და დახმარებითი მასალა . . | | | | |
| 2. | სათბობი | | | | |
| 3. | საქონელი საწყობებში | | | | |
| 4. | საქონ. ცალეულ მაღაზ. | | | | |
| 5. | საქონ. საკომის. გადაცემ. | | | | |
| 6. | საქონ. და მასალა გზაში | | | | |
| 7. | სამეურნეო დანამზადები . | | | | |
| 8. | დაუმთავრებ. წარმოება . | | | | |
| | **დ. დებიტორები** | | | | |
| 1. | ვექსილები პორტფელში . | | | | |
| 2. | ვექსილ. გასანაღდებელი . | | | | |
| 3. | ვექსილები საინკასო . . | | | | |
| 4. | პროტესტჭნილი ვექსილ. | | | | |
| 5. | მსყიდველნი . . . . . | | | | |
| 6. | უცხოელი დებიტორები . | | | | |
| 7. | სხვა დებიტორები . . . | | | | |
| 8. | საეკვო ვალები . . . . . | | | | |
| 9. | ანგარიშ. ქვეშ მიც. თანხ. | | | | |
| | **ე. ურეალიზაციო და ფასგადაუხდელი აქციები და პაი** | | | | |
| | **4. მომავალი წლის ხარჯი** | | | | |

## პასივი.

| №№ რიგზე. | ანგარიშის სახელწოდება. | 192..... წ. 1-ის შემდეგი ანგარიშია. | ბრუნვა ..... დან ..... დე (ამ დროს განმავლობაში.) | | 192..... წ. 1-ის შემდეგი ანგარიშია. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დებეტი. | კრედიტი. | |
| | **1. საკუთ. კაპიტ.** | | | | |
| 1. | ძირითადი კაპიტალი . . | | | | |
| 2. | სათადარიგო კაპიტალი . | | | | |
| 3. | სპეციალური კაპიტალი . | | | | |
| 4. | ამორტიზაცია . . . . . | | | | |
| | **2. კრედიტორები** | | | | |
| 1. | საობლიგაციო კაპიტალი | | | | |
| 2. | გრძელვადიანი სესხი . . | | | | |
| 3. | სპეციალური მიმდ. ანგარ. | | | | |
| 4. | გაცემული ვექსილები . . | | | | |
| 5. | დავალიანება განაღდებული ვექსილებით . . . . | | | | |
| 6. | გამყიდვ.-მიმწოდ. და გამ. ყიდ. . . . . | | | | |
| 7. | უცხოელი კრედიტორები | | | | |
| 8. | სხვა კრედიტორები . . . | | | | |
| | **3. მომავალი წლის შემოსავალი** | | | | |
| | **4. წმინდა მოგება** | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრუნვის ანგარიში 192 ..... წ. ოქტომბრის 1-ის

(წლიური საოპერაციო პერიოდის ანგარიიდან ამოღებული)

## დებეტი

| №№ რიგზე | მუხლის სახელწოდება | თანხა |
|---|---|---|
| 1. | წარსული წლის ნაშთი საქონლისა ან წარმოებაში დამზადებული და დაუმთავრებელი ნაკეთობისა . . | |
| 2. | საქონლის ანაზღაურება (ამორტიზაცია): | |
| | ა) წარმოებაში ნახმარისა (მოწყობილობისა და შენობის გამოყენებული ნაწილი) და მიმდ. რემონტ. . . . . | |
| | ბ) არაწარმოებითი (პერსონალის საჭიროებ) და მისი შენახვა . . . . . | |
| 3. | დახარჯვა ძირითადი მასალისა წარმოებაში . . | |
| 4. | დახარჯვა დამხმარე მასალისა წარმოებაში . . . | |
| 5. | დახარჯვა სათბობისა . . . . . | |
| 6. | დახარჯვა ელექტრონის ენერგიისა (სხვისი დენისა) | |
| 7. | ხარჯი დამზადებული საქონლის შესაძენად (სავაჭრო საწარმ.) . . . . . | |
| 8. | სამუშაო ხელფასი: | |
| | ა) დამზადებული პროდუქტისათვის . . . . | |
| | ბ) დაუმთავრებელი ნაკეთობისათვის . . | |
| 9. | სასყიდელი მოსამსახურეთა და ადმინისტრატიული პერსონალისა: | |
| | ა) წარმოებაში ან სამრეწველოში . . . . . | |
| | ბ) გამგეობაში . . . . . | |
| 10. | საერთო-წარმოებითი ხარჯი . . . . . | |
| 11. | სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი . . . . . | |
| 12. | სატრანსპორტო ხარჯი . . . . . | |
| 13. | ქონების დაზღვევა: | |
| | ა) წარმოებითისა . . . . . | |
| | ბ) სავაჭრო ქონებისათვის . . . . . | |
| 14. | გასტუმრებული საიჯარო სასყიდელი: | |
| | ა) წარმოებითი ქონებისათვის . . . . . | |
| | ბ) სავაჭროსი ქონებისათვის . . . . . | |
| 15. | გასტუმრებული სარგებელი . . . . . | |
| 16. | გასტუმრებული საკომისიო სასყიდელი . . . . . | |
| 17. | საერთო-სავაჭრო ხარჯი . . . . | |
| 18. | ფასის მონაკლები . . . . . | |
| 19. | გადასახადი და გამოსაღები . . . . . | |
| 20. | არა-მომქმედი ფაბრიკებისა და ქარხნების შენახვა | |
| 21. | სხვა ანარიცხი და ხარჯი . . . . . | |
| 22. | მოგება . . . . . | |

## კრედიტი

| №№ რიგზე | მუხლის სახელწოდება | თანხა |
|---|---|---|
| 1. | გამორჩენა (ბრუტტო) ნაღდად და ნისიად გაყიდული საქონლისა . . . . . | |
| 2. | გამორჩენა (ბრუტტო) ნაღდად და ნისიად გაყიდული მასალისა . . . . . | |
| 3. | მიღებული საიჯარო სასყიდელი . . . . . | |
| 4. | მიღებული სარგებელი . . . . . | |
| 5. | მიღებული საკომისიო სასყიდელი . . . . . | |
| 6. | სხვა შემოსავალი . . . . . | |
| 7. | ნაშთი საქონლისა ან წარმოებაში დამზადებული და დაუმთავრებელი ნაკეთობისა ანგარიშის დამთავრების დღისათვის . . . . . | |
| 8. | ზარალი . . . . . | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ დაუბრუნდება შრომის ბირჟას ან საკორესპონდენტო პუნქტს იმავე საკალენდრო წლის განმავლობაში,—მიიღებს სამუშაოს საერთო წესისამებრ.

**შენიშვნა.** დროებითი მუშაობისათვის,— ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით,—გაგზავნილს, აგრეთვე მას, ვინც გამოცდას ვერ დაიჭერს, შრომის ბირჟაში ან საკორესპონდეტო პუნქტზე დაბრუნებისას შერჩება უფლება მეორეჯერ სამუშაოს მიღებისა შემდგომი რეგისტრაციის წესით.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია: ამიერკავკასიის ბიუროს
თავმჯდომარე **ა. გინსბურგი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზ. გაყოფ. გამგე **ორლოვ—მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ნოემბრის 23-ს თარიღის 270 №-ში.

---

# დადგენილება № 76 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. ნოემბრის 13.

## 245. წითელი არმიისა და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

რათა სწორი რეგლამენტაცია ექნეს წითელი არმიისა და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულ და სამსახურის ვადის გათავებისა ან ავადმყოფობის გამო უვადო შვებულებაში დათხოვნილ პირთათვის შეღავათის მიცემის წესს,—როგორც არმიელთათვის, ისე უმცროსი და უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთათვის,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის ბირჟაში აღნიშნული დემობილიზაციით განთავისუფლებული პირი გაიგზავნება სამუშაოზე რიგ გარეშე ყველა იმ სამუშაოს მაძიებელ პირთან შედარებით, რომელიც პროფესიონალური კავშირის წევრი არ არის, ხოლო პროფესიონალური კავშირების წევრებთან შედარებით დემობილიზაციით განთავისუფლებული,—იმის დამოუკიდებლად, წევრია იგი პროფესიონალური კავშირისა თუ არა,—გაიგზავნება სამუშაოდ პროფესიონალურ კავშირთა წევრების თანაბრად იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო ადრეა რეგისტრაციაში გატარებული, გარდა ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული შემთხვევისა.

2. დემობილიზაციით განთავისუფლებულს ეძლევა უფლება დროებითი სამუშაოზე გაგზავნისა ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით და აგრეთვე უპირატესობა უმუშევართათვის არსებული საჩაიებისა, სასადილოებისა და სხვ. ამისთ. სარგებლობისათვის პირველ რიგში, კავშირების წევრებთან შედარებით.

3. მილიციის შედგენის დროს, იმ მიზნით, რათა იგი შეესებულ იქნეს სამხედრო მომზადების მქონე პირთაგან, შრომის ბირჟას მოვალეობად ჩაეთვლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციონერის თანამდებობისათვის ჰგზავნიდეს პირველ რიგში დემობილიზაციით განთავისუფლებულთ ან უვადო შვებულებაში დათხოვნილთ, ვინც-კი შრომის ბირჟის აღნუსხვაზე ირიცხება.

4. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მარტის 13-ს თარიღითა და 39 №-რით გამოცემულ და „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის უწყების“ 1923 წლის მე-3—4 №-ში გამოქვეყნებულ დადგენილების 24 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებებში (ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, სახალხო კომისართა საბჭოში, საგანგებო კომისიაში, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატში, ვარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში, მოშთათა და გლეხთა ინსპექციაში, იუსტიციის სახალხო კომისარიატში და მათ ადგილობრივ ორგანოებში, იმ თანამდებობაზე რომელიც შეესებულ უნდა იქნეს შრომის ბირჟის მეშვეობით 24 მუხ. შენიშვნის თანახმად) დემობილიზაციით განთავისუფლებულნი გაგზავნებიან უპირატესად ყველა სხვა უმუშევრებთან, მათ შორის პროფესიონალური კავშირის წევრებთან.

5. შრომის არტელებისა და საზოგადოებრივი სამუშაოს მოწყობის დროს, უმუშევართათვის შრომის დახმარების აღმოსაჩენად, შრომის ბირჟა დემობილიზაციით განთავისუფლებულთ და უვადო შვებულებაში დათხოვნილთ მიანიჭებს უპირატეს უფლებას ამ არტელებში შესვლისას პროფესიონალურ კავშირების წევრებთან შედარებით.

6. უმუშევართა კოლექტივის მოწყობის დროს სასწრაფო, ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად (სასოფ.-სამეურ., რკინის გზის გაწმ., გზატკეცილების გაკეთება, საკანალიზ. სამუშაო), დემობილიზაციით განთავისუფლებულთ და უვადო შვებულებაში დათხოვნილთ უპირატესი უფლება აქვთ, უმუშევრებთან შედარებით, მათ შორის პროფესიონალური კავშირების წევრებთან შედარებით, ამ კოლექტივებში შესვლისა.

7. წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთ და ავადმყოფობისა ან სამსახურის ვადის გათავების გამო უვადო შვებულებაში დათხოვნილთ, რომელთაც კი შრომის ბირჟაში რეგისტრაცია აქვთ გაკეთებული და დაქირავებით უმუშევნიათ უშუალოდ თვით მობილიზაციამდე ან სამხედრო სამსახურში გაწვევამდე,—დაქირავებითი მუშაობის სტაჟის მიუხედავად,—უფლება აქვთ, სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. ივნისის 11-ს თარიღითა და 247—49 №-რით გამოცემული და „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის უწყების“ 1923 წ. მე-5 №-ში გამოქვეყნებული ინსტრუქციის თანახმად,—მიიღონ ხოლმე საუმუშევრო დახმარება.

8. უმუშევართათვის მოწყობილ საერთო-სამყოფელ სახლებისა და სასადილოების საჭიროებობისათვის დემობილიზაციით განთავისუფლებულთ და უვადო შვებულებაში დათხოვნით, რომელნიც კი შრომის ბირჟის აღნუსხვაზე ირიცხებიან, ეძლევათ უპირატესი უფლება,—ყველა უმუშევრებთან შედარებით, მათ შორის პროფესიონალური კავშირების წევრებთანაც.

9. ყველა ზემოაღნიშნული შეღავათით ისარგებლებენ მხოლოდ ის დემობილიზაციით განთავისუფლებულნი და უვადო შვებულებაში დათხოვნილნი (ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობისა და სამსახურის ვადის გათავების გამო) წითელი არმიიდან და ფლოტიდან, რომელთაც რეგისტრაცია გაუკეთეს თავიანთ თავს შრომის ბირჟაში, ოთხ კვირაზე არა უგვიანეს დღიდან მათი მიღებისა აღნუსხვაზე ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის მიერ, რაც უშუალოდ უნდა მოსდევდეს ხოლმე თვით დემობილიზაციას.

**შენიშვნა:** უკეთუ დემობილიზაციით განთავისუფლებული, რომელმაც ერთხელ უკვე ისარგებლა დემობილიზაციის უფლება სამუშაოზე შესვლისათვის,—განმეორებით მიმართავს შრომის ბირჟას,—იგი გაიგზავნება სამუშაოდ საერთო საფუძველზე.

10. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულია წინად გამოცემული დადგენილება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა 1922 წლის ოქტომბრის 14-ს თარიღით და მე-19 №-რით, „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის უწყების“ 1923 წ. 1—2 № ში გამოქვეყნებული.

11. დადგენილება ესე ძალაში შევა დღიდან მისი გამოქვეყნებისა და იმოქმედებს 1924 წ. ივლისის 1-დე.

ამიერკავკასიის შრომის სახახლო კომისარის

მოადგილე **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია: ამირკავკასიის ბიუროს

თავმჯდომარე **ა. გინსბურგი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო-საორგანიზ. განყოფ. გამგე **ორლოვ—მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ნოემბრის 27-ს თარიღის 273 №-ში.

---

# დადგენილება № 107 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის. ნოემბრის 6.

## 246. უმუშევართა არტელების სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკააკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 5-ს დამტკიცებული დებულების მე-14 მუხ. თანახმად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ მოწყობილი უმუშევართა შრომისა და წარმოებითი არტელები და აგრეთვე მათ მიერ, საკუთარი წარმოების ნაკეთობის გასასყიდად, დაარსებული საწარმონი განთავისუფლებულ იქნენ სარეწავი გადასახადით დაბეგვრისაგან სამი თვის განმავლობაში დღიდან მათი მოწყობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნული არტელები და საწარმონი, რომელნიც შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ უკვე მოწყობილია და მოქმედებენ, განთავისუფლებულ იქნენ სარეწავი გადასახადით დაბეგვრისაგან 1923 წ. სექტემბრის 1-დან დეკემბრის 1-დე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მრჩევნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 28-ს თარიღის 274 №-ში.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 26.

**247. ადგილობრივი ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ამ გამოსაღებაში არა მართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ.**

1. განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი გადამხდელის შუამდგომლობით შეიძლება ყოველგვარი ადგილობრივი ფულადი გადასახადისა და გამოსაღების ვადის გადადება და განაწილება ჯარიმისა და საურავის მიურიცხველად ერთ წელიწადზე არა უმეტესი ვადის განმავლობაში და აგრეთვე სრული ან ნაწილობრივი პატიება ამ გადასახადისა და გამოსაღებისა.

2. ვადის გადადება და განაწილება გადასახადისა და გამოსაღებისა, რომელიც აკრეფილ უნდა იქნეს სამაზრო აღრიცხვით არა უმეტეს 100 ჩერვონეცის მანეთის თანხისა თვითეული ცალკე გადასახადისა ან გამოსაღებისათვის,—მოხდება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, ხოლო ამაზე მეტი თანხისა—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამართველოების ადგილობრივ გადასახადთა განყოფილებების დადგენილებით, რასაც დაამტკიცებენ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა საბოლოოდ ჩაითვლება და არ განისაჩივრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ადგილობრივი გადასახად-გამოსაღების შენაწერისა და ნარჩენის პატუ-ბა გადამხდელის შუამდგომლობით, აგრეთვე პატიება არამართლიერად მირი-ცხული და არასაიმედო შენაწერისა და ნარჩენისა და დაბრუნება ადგილობრივი გადასახად-გამოსაღებიდან არამართლიერად შემოსული თანხისა—მოხდება წინა (2) მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

4. ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებში არამართლიერად შესულ თანხე-ბის დაბრუნებაზე გავრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობა.

5. ამა დეკრეტის შეფარდების წესი განისაზღვრება ამიერკავკასიის ფინანს-თა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

ვამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ნოემბრის 23-ს თარი-ღის 276 №-ში.

---

ნაბად. ლ. და გ. მთავ. მართ. № 1020 ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 800.